საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1095

ქ. თბილისი

16/07/2021

„შპს „დგარი-2005“-ის ცემენტის დასაფქვავი საამქროს ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2021 წლის 10 თებერვლის №2-192 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 25 ივნისს სამინისტროს მომართა შპს „დგარი-2005“-ის დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაუქმება.

2008 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „დგარი-2005“-ის ცემენტის დასაფქვავ საამქროზე (ქ. გორი, შინდისის გზატკეცილი, მე-3 კმ) გაიცა №40 (08.12.2008) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2021 წლის 10 თებერვალს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-192 ბრძანება „შპს „დგარი-2005“-ის ცემენტის დასაფქვავი საამქროს ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კომპანია აღარ აპირებს აღნიშნული საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისად, იგი ითხოვს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „დგარი-2005“-ის განცხადების, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „დგარი-2005“-ის ცემენტის დასაფქვავი საამქროს ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 10 თებერვლის №2-192 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „დგარი-2005“-ს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „დგარი-2005“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი